

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს ლაბორატორიული ცხოველების მეცნიერებათა ასოციაცია „ბალას“

წ ე ს დ ე ბ ა

მიღებულია საქართველოს ლაბორატორიული ცხოველების
მეცნიერებათა ასოციაციის დამფუძნებელთა კრებაზე
2016 წლის 10 თებერვალი

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

- 1.1. საქართველოს ლაბორატორიული ცხოველების მეცნიერებათა ასოციაცია წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
- 1.2. ასოციაცია წარმოშობილად ითვლება მენარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
- 1.3. ასოციაციის სახელწოდება
ა) ასოციაციის სრული სახელწოდება:
ქართულად საქართველოს ლაბორატორიული ცხოველების მეცნიერებათა ასოციაცია „ბალას“
ინგლისურად: Georgian Association for Laboratory Animal Science "GALAS"
ბ) ასოციაციის შემოკლებული სახელწოდება:
ქართულად ბალას
ინგლისურად GALAS
- 1.4. სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
- 1.5. ასოციაციის იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ატენის ქ.20. ბ.55 ასოციაციას გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი საკუთარი სახელწოდებით, საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტო) საბანკო დაწესებულებებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
- 1.6. ასოციაცია დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა ან რაიმე ზემოქმედების მოხდენა დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 1.7. ასოციაცია თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ასოციაციის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. ასოციაციის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს ასოციაცია საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

1.8. ასოციაციის საქმიანობის მიზნები:

1. იმოქმედოს საქართველოს ფარგლებში როგორც ცენტრალური პროფესიული ორგანო ლაბორატორიული ცხოველების გამოყენების და კვლევის სფეროში;
 2. საქართველოში ლაბორატორიული ცხოველების მეცნიერებათა სფეროში საკანონმდებლო წინადადების შემუშავება, ნორმატიული აქტების მომზადება და ლობირება;
 3. საქართველოში ლაბორატორიული ცხოველების მეცნიერებათა განვითარების ხელშეწყობა, თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეტაპობრივი დანერგვით;
 4. სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ლაბორატორიული ცხოველების ზრუნვისა და გამოყენების საინსტიტუტო (საუნივერსიტეტო) კომიტეტების ჩამოყალიბების/დახვეწის ხელშეწყობა;
 5. ექსპერიმენტულ ცხოველთა სამეცნიერო ან სასწავლო მიზნებისათვის სათანადოდ გამოყენების ხელშეწყობა და განვითარება; კვლევაში გამოსაყენებელი ექსპერიმენტული ცხოველების რაოდენობის შემცირების მიზნით მათი რაციონალური გამოყენების და ჩანაცვლების ხელშეწყობა;
 6. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სამეცნიერო კვლევაში ცხოველთა გამოყენების აუცილებლობაზე;
 7. ლაბორატორიული ცხოველების მეცნიერებათა სფეროში სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობა, პროექტების მომზადება, მხარდაჭერა და განხორციელება;
 8. ასოციაციის წევრების სპეციალური ცოდნის მიღებასა და საქართველოსა და საზღვარგარეთ მათი სტატუსის აღიარების ხელშეწყობა;
 9. ლაბორატორიული ცხოველების მეცნიერებათა სფეროებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობა, მეცნიერების და სტუდენტების საზღვარგარეთ სტაჟირების ხელშეწყობა მათი პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით; მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა საჯარო ლექციების, სემინარების და ტრენინგების ჩასატარებლად;
 10. პროფესიული ტრენინგების, შეხვედრების, კონფერენციების, კონგრესების და სიმპოზიუმების ჩატარება, გამოფენების მოწყობა და საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობა.
 11. საქართველოში ასევე საზღვარგარეთ სხვადასხვა ასოციაციებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობა;
 12. ინტელექტუალური საკუთრების განვითარებისა და დაცვის ხელშეწყობა;
 13. საქველმოქმედო საქმიანობა, ჰუმანიტარული დახმარების განხორციელება.
- 1.9. საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, ასოციაცია მოქმედებს როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
- 1.10. ასოციაციას შეუძლია განეწიანდეს სხვა ასოციაციაში, კავშირებსა და ორგანიზაციებში.
- 1.11. ასოციაციის შემოსავლის წყაროები, რომლებიც ასოციაციის მიზნების განხორციელებას მოხმარდება არის სანწევრო შენატანები, მიღებული გრანტები,

შემოწირობიანი, დამხმარე ხასიათის საქმიანობის შედეგად მოპოვებული სახსრები და კანონით დაშვებული სხვა წყაროებიდან მიღებული თანები.

- 1.12. ასოციაცია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის საქმიანობას (მ.შ. სამეწარმეო საქმიანობას), რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს ასოციაციის საწესდებო მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.
- 1.13. ასოციაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება ასოციაციას საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.
- 1.14. ასოციაციის დავა სხვა იურიდიულ პირებთან და მოქალაქეებთან განიხილება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
- 1.15. ასოციაცია იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2 **ასოციაციის დამფუძნებლები**

- 2.1. ასოციაციის დამფუძნებლები არიან:
 1. მთვარისა კორძია
 2. ნონა ლომთაძე
 3. თათია მოდებაძე
 4. კარენ მულკიჯანიანი
 5. კახა მჭედლიშვილი
 6. ლევანი მეტრეველი
 7. გულნაზ გასიმოვა
 8. მარინე რამიშვილი
 9. ლევანი ჩიტიაშვილი
 10. ვაჟა ჩიტიაშვილი
 11. დაჩი ცაციაშვილი
 12. ლევან ციცქიშვილი

მუხლი 3 **ასოციაციის მართვა**

- 3.1. ასოციაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელთა კრება, რომელიც მოიწვევა პრეზიდენტის მიერ და ტარდება წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ.
- 3.2. დამფუძნებელთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა $\frac{1}{2} + 1$ წევრი. დამფუძნებელთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

- 3.3. დამფუძნებელთა კრება უფლებამოსილია გადაწყვიტოს ყველა ის საკითხი, რომელიც ამ წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით სცილდება ასოციაციის პრეზიდიუმის კომპეტენციას;
- 3.4. დამფუძნებელთა კრება წარმართება რეგლამენტის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს დამფუძნებელთა კრება მის დაწყებამდე.
- 3.5. დამფუძნებელთა კრების ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე. იგი პასუხს აგებს დამფუძნებელთა კრების ოქმის სიზუსტესა და ნამდვილობაზე.
- 3.6. დამფუძნებელთა კრებები აღირიცხება აღრიცხვის ჟურნალში. ჟურნალში უნდა მიეთითოს:
- ა) დამფუძნებელთა კრების რიგითი ნომერი;
 - ბ) დამფუძნებელთა კრების ჩატარების თარიღი და ადგილი;
 - გ) ჩანაწერის შემსრულებელი პირის ვინაობა და ხელმოწერა.
- 3.7. დამფუძნებელთა კრების აღრიცხვის ჟურნალის წარმოებას უზრუნველყოფს ასოციაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.
- 3.8. დამფუძნებელთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება:
- ა) ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების და გეგმების დამტკიცება;
 - ბ) ასოციაციის საქმიანობის წლიური შედეგების დამტკიცება;
 - გ) ასოციაციის პრეზიდიუმის წევრების, პრეზიდიუმის თავმჯდომარის და მისი მოადგილის, სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა და დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება;
 - დ) ასოციაციის ფილიალების და წარმომადგენლობების დაფუძნება, აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების დებულებების და ინსტრუქციების დამტკიცება, მათი უფლებამოსილებების ფარგლების დადგენა;
 - ე) ასოციაციის წესდებაში ცვლილებების შეტანა
 - ვ) ასოციაციის საწევროს გადახდის ვალდებულების და მისი ოდენობის დადგენა, ასევე მისი გაუქმება;
 - ზ) ასოციაციის ბიუჯეტის დამტკიცება;
 - თ) დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილების გაუქმება;
 - ი) ასოციაციის ყოველწლიური ყრილობების მოწვევა
 - კ) საჭიროების შემთხვევაში სარევიზიო კომისიის შექმნა და მისი დებულების დამტკიცება.
- ლ) ასოციაციის წესდებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.
- 3.9. ასოციაციის წესდების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ასოციაციის დამფუძნებელთა ხმათა არანაკლებ 2/3 -ს;
- 3.10. ხმების თანაბრად გაყოფისას ტარდება ხელახალი კენჭისყრა. თუ ხელახალი კენჭისყრის შედეგად ხმები კვლავ თანაბრად გაიყო, საკითხი უარყოფილად ითვლება.
- 3.11. წესდებაზე ხელის მოწერის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ასოციაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.
- 3.12. დამფუძნებელთა კრების მოწვევის პროცედურა:
- 3.12.1. დამფუძნებელთა კრებას იწვევს პრეზიდიუმი (წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ) ან როცა ამას მოითხოვს ასოციაციის ინტერესები:
- ა) საკუთარი ინიციატივით;
 - ბ) თავჯდომარის ან დამფუძნებელთა მესამედის წერილობითი მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

- 3.12.2. დამფუძნებელთა კრების მოსაწვევს, ან ინფორმაციას დამფუძნებელთა კრების მოწვევის შესახებ თან უნდა დაერთოს დღის წესრიგი.
- 3.12.3. დამფუძნებელთა კრების მოწვევის შესახებ წევრებს უნდა ეცნობოთ კრებამდე ორი კვირით ადრე მაინც. შეტყობინება შესაძლოა გაგზავნილი იქნას ელექტრონული ფოსტითაც.
- 3.12.4. იმ წევრებს, რომლებიც ვერ ესწრებიან დამფუძნებელთა კრებას, უფლება აქვთ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღონ წერილობით სათანადოდ გამოხატული ნების საფუძველზე. ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრე პირებს.
- 3.12.5. დამფუძნებელთა კრების დღის წესრიგში წესდების ცვლილებების საკითხის შეტანას წყვეტს პრეზიდიუმი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარდგენილია ასოციაციის წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით.
- 3.13. ასოციაციის წევრთა ყრილობა
- 3.14. ასოციაციის წევრთა ყრილობის კომპეტენციას განეკუთვნება:
- ა) ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების და გეგმების შემუშავება;
 - ბ) ასოციაციის საქმიანობის წლიური შედეგების მოსმენა;
 - გ) ასოციაციის პრეზიდიუმის წევრების კანდიდატურების წარდგენა;
 - დ) ასოციაციის ფილიალების და წარმომდგენლობების, აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების დებულებების და ინსტრუქციების განხილვა;
 - ე) ასოციაციის საწევროს გადახდის ვალდებულების და მისი ოდენობის დადგენის, შეცვლის ან გაუქმების საკითხის შემუშავება;
 - ვ) ასოციაციის ბიუჯეტის პროექტის განხილვა;
 - ზ) ასოციაციის წევრთა ყრილობის გადანაცვლებების გაუქმება.
- 3.15. ასოციაციის წევრთა ყრილობის მოწვევის პროცედურა:
- 3.15.1. ასოციაციის წევრთა ყრილობას იწვევს პრეზიდიუმი წელიწადში ერთხელ მაინც;
 - 3.15.2. ასოციაციის წევრთა ყრილობის მოსაწვევს, ან ინფორმაციას ყრილობის მოწვევის შესახებ თან უნდა დაერთოს დღის წესრიგი.
 - 3.15.3. ასოციაციის წევრთა ყრილობის მოწვევის შესახებ წევრებს უნდა ეცნობოთ ყრილობამდე ორი კვირით ადრე მაინც. შეტყობინება შესაძლოა გაგზავნილი იქნას ელექტრონული ფოსტითაც.
 - 3.15.4. კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ წევრებს, რომლებიც ესწრებიან ასოციაციის წევრთა ყრილობას.
 - 3.15.5. ასოციაციის წევრთა ყრილობა გადანაცვლებებს იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

მუხლი 4

ასოციაციის ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- 4.1. ასოციაციის ხელმძღვანელობას ახორციელებს ასოციაციის პრეზიდიუმი (შემდგომ ტექსტში - „პრეზიდიუმი“), რომელიც არის ასოციაციის მუდმივ მოქმედი მმართველობითი ორგანო;
- 4.2. პრეზიდიუმის სხდომები ტარდება ასოციაციის საჭიროებებიდან გამომდინარე თავმჯდომარის მოწვევით, ანდა რომელიმე წევრის მოთხოვნით;
- 4.3. პრეზიდიუმი შედგება 7 (შვიდი) წევრისგან;
- 4.4. პრეზიდიუმის წევრებს დამფუძნებელთა კრება ირჩევს 5 (ხუთი) წლის ვადით. პრეზიდიუმის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ახალი პრეზიდიუმის არჩევამდე;
- 4.5. პრეზიდიუმის წევრის გადადგომის, ან უფლებამოსილების სხვაგვარად (გათავისუფლება, ავადმყოფობა, რაც შეუძლებელს ხდის პრეზიდიუმის წევრის მოვალეობის შესრულებას) ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში პრეზიდიუმი დაუყოვნებლივ იწვევს რიგგარეშე დამფუძნებელთა კრებას, რომელიც ირჩევს ახალ წევრს პრეზიდიუმის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.
- 4.6. პრეზიდიუმის წევრის გათავისუფლება მის მიერ უფლებამოსილების გადამეტების, მოვალეობის შეუსრულებლობის, ან სანესდებო მიზნების საწინააღმდეგო ქცევისათვის შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელთა კრებას.
- 4.7. პრეზიდიუმი უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. პრეზიდიუმის წევრებს პრეზიდიუმის ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ეცნობებათ სხდომამდე 7 დღით ადრე მაინც, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში - დაუყოვნებლივ.
- 4.8. პრეზიდიუმი:
 - ა) იწვევს და ატარებს დამფუძნებელთა კრებებს და ასოციაციის წევრთა ყრილობებს, რომლის თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ სულ მცირე ორი კვირით ადრე აცნობებს მონაწილეებს;
 - ბ) ასოციაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს დამფუძნებელთა კრებისთვის წარსადგენად წევრებს აცნობებს კრებამდე ერთი კვირით ადრე;
 - გ) იძლევა თანხმობას ფილიალების, საკონსულტაციო საბჭოების მმართველი პირების და მონაწილე პირების დანიშვნაზე;
 - დ) ფარული კენჭისყრით წყვეტს ასოციაციის წევრად, ასევე საპატიო წევრად მიღების და გარიცხვის საკითხებს;
 - ე) სარეკომენდაციო წერილით მიმართავს ასოციაციის იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;
 - ვ) ადგენს წევრობის მსურველებთან და წევრებთან ურთიერთობის წესს;
 - ზ) შეიმუშავებს და დამფუძნებელთა კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;
 - თ) ამტკიცებს ასოციაციის მიერ განეული საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს, და წარუდგენს მას ასოციაციის წევრთა ყრილობას;
 - ი) წყვეტს ასოციაციის რეგისტრირებულ ორგანიზაციებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს;

- კ) თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას;
- ლ) ადგენს ასოციაციის თანამშრომელთა სახელფასო ბადეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მ) ირჩევს ასოციაციის ბეჭდვითი ორგანოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარედაქციო საბჭოს;
- ნ) იხილავს ასოციაციის უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებს, ასევე სასესხო-საკრედიტო ხელშეკრულებებს და თავდებობის გარიგებებს;
- ო) ამზადებს ასოციაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და გეგმებს;
- პ) ადგენს მიზნობრივ პროგრამებს და აკონტროლებს მათ შესრულებას;
- ჟ) ისმენს პრეზიდიუმის მიერ დანიშნული პირების ანგარიშს;

- 4.9. პრეზიდიუმის სხდომას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რომელიც წარიმართება პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული რეგლამენტის შესაბამისად. სხდომის ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და პრეზიდიუმის წევრები. სხდომის ოქმს ენიჭება ნუმერაცია და თარიღი ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომების ჟურნალის შესაბამისად.
- 4.10. პრეზიდიუმის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში პრეზიდიუმის ახალი წევრის არჩევა ხდება ამ წესდების მუხლი 4.5. შესაბამისად.
- 4.11. ასოციაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, პრეზიდიუმის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ახორციელებს ასოციაციის წევრთა რეესტრის წარმოებას.
- 4.12. ასოციაციის პრეზიდიუმის წევრები არიან:
1. კარენ მულკიჯანიანი;
 2. ლევანი ჩიტიაშვილი;
 3. ნონა ლომთაძე;
 4. კახა მჭედლიშვილი;
 5. მთვარისა კორძაია;
 6. დაჩი ცაციაშვილი;
 7. ლევან ციციქიშვილი.
- 4.13. ასოციაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირები.
- 4.13.1. ასოციაციის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (ასოციაციის პრეზიდენტი), ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოადგილე (ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი).
- 4.13.2. ასოციაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს თავის წევრთაგან 5 (ხუთი) წლის ვადით ირჩევს დამფუძნებელთა კრება. პირი ასოციაციის თავმჯდომარედ არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორზე მეტი ვადით.
- 4.13.3. ასოციაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მოადგილის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისად ახალი თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევამდე. იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელთა კრების შემდეგ თავმჯდომარე და მოადგილე, ახალი თავმჯდომარის და მოადგილის არჩევამდე ვერ ასრულებენ თავიანთ უფლებამოსილებას, მათი ფუნქციების შესრულება დაევალება ასოციაციის პრეზიდიუმის უხუცეს წევრს.

- 4.13.4. ასოციაციის პრეზიდენტის თავმჯდომარე წარმომდგებლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას:
- ა) წარმართავს ასოციაციის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
 - ბ) ხელმძღვანელობს ასოციაციის პრეზიდენტის საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს;
 - გ) წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ) ყველა სამართლებრივ ურთიერთობებში;
 - დ) აკომპლექტებს ასოციაციის შრომით აპარატს და ხელმძღვანელობს მას;
 - ე) ზედამხედველობს ასოციაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას და უზრუნველყოფს საბუღალტრო და სხვა საქმის წარმოებას დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად;
 - ვ) უძღვება ასოციაციის წევრებთან და წევრობის მსურველებთან მუშაობას პრეზიდენტის მიერ დადგენილი წესით;
 - ზ) ასოციაციის სახელით ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ დოკუმენტებს ფინანსური დოკუმენტაციის ჩათვლით;
 - თ) ასოციაციის სახელით ხელს აწერს ასოციაციის უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებს, ასევე სასესხო-საკრედიტო ხელშეკრულებებს და თავდებობის გარიგებებს;
 - ი) პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას;
 - კ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს ასოციაციის ინტერესებიდან გამომდინარე.
- 4.13.5. მოადგილე პრეზიდენტის თავმჯდომარის რწმუნებით ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში. ასოციაციის პრეზიდენტის თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში ახალი თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს მისი მოადგილე.
- 4.13.6. ასოციაციის პრეზიდენტის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს უშლის მის მიერ თავმჯდომარის უფლებამოსილებათა განხორციელებას დატვირთვის ან ინტერესთა შეუთავსებლობის გამო.
- 4.13.7. ასოციაციის პრეზიდენტის თავმჯდომარესთან შეიძლება შეიქმნას თავმჯდომარის მრჩეველთა საბჭო, რომლის დებულებას, საშტატო განრიგსა და სტრუქტურას ამტკიცებს პრეზიდენტი.

მუხლი 5

წევრთა უფლებები და მოვალეობები

- 5.1. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს:
- ა) საქართველოსა და უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი, რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზნებს;
 - ბ) საქართველოს რეზიდენტი ან არარეზიდენტი იურიდიული პირი - ასოცირებული წევრი, რომელსაც ასოციაციაში წარმოადგენს იურიდიული პირის უფლებამოსილი წარმომადგენელი; ასოცირებული წევრის დამფუძნებლები (წევრები) და დირექტორები არ ითვლებიან ასოციაციის წევრებად.

გ) სტუდენტი

- 5.2. ასოციაციის წევრად მიღება და წევრობიდან გასვლა ხდება წერილობითი განცხადების საფუძველზე. წევრად მისაღებად აუცილებელია ასოციაციის არანაკლებ ორი წევრის წერილობითი რეკომენდაცია. გადანაცვებიდან წევრად მიღების შესახებ იღებს პრეზიდიუმი განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.
- 5.3. პირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ასოციაციის საქმიანობას, ასოციაციის პრეზიდიუმის გადანაცვებით შეიძლება მიღებულ იქნეს ასოციაციის საპატიო წევრად. საპატიო წევრზე არ ვრცელდება ასოციაციის წევრისათვის ამ წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი.
- 5.4. ასოციაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება:
- ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
 - ბ) პრეზიდიუმისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე სანევრო შენატანის ზედიზედ 12 თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში;
 - გ) სასამართლოს გადანაცვებით მისი ქმედუნაროდ ცნობისას;
 - დ) გარდაცვალებისას.
- 5.5. წევრის გარიცხვის შესახებ გადანაცვები იღებს პრეზიდიუმი ფარული კენჭისყრის საფუძველზე. პრეზიდიუმის გადანაცვებით ასოციაციის წევრი შეიძლება გაირიცხოს ასოციაციიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს ან იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.
- 5.6. **ასოციაციის წევრს უფლება აქვს:**
- ა) მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, ასოციაციის გეგმების, პროგრამების, პროექტებისა და სხვა ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში;
 - ბ) ასეთის არსებობის შემთხვევაში, აირჩიოს და არჩეულ იქნეს ასოციაციის მმართველ ან მაკონტროლებელ ორგანოებში;
 - გ) დაასახელოს ასარჩევ პირთა კანდიდატურები;
 - დ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან ასოციაციის საქმიანობის შესახებ;
 - ე) ასოციაციის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს ასოციაციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;
 - ვ) ასოციაციიდან გარიცხულ წევრს უფლება აქვს პრეზიდიუმის გადანაცვებით გაასაჩივროს სასამართლოში.
- 5.7. **ასოციაციის წევრი მოვალეა:**
- ა) დაიცვას ასოციაციის წესდება;
 - ბ) შეასრულოს ასოციაციის მმართველი ორგანოს გადანაცვებით;
 - გ) პროპაგანდა გაუწიოს ასოციაციის მიზნებს;
 - დ) არ გაახმაუროს ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.
 - ე) გადაიხადოს სანევრო, თუ სანევროს ვალდებულებას დაადგენს დამფუძნებელთა კრება.
- 5.8. **საავტორო უფლებები**
- 5.9.1. ასოციაციის თაოსნობით შექმნილ ინტელექტუალურ საკუთრებაზე, თუ არ იარსებებს ცალკე ხელშეკრულება თანაავტორთა საავტორო-სამართლებრივ ურთიერთობათა განსაზღვრის შესახებ:

- ყველა თანაავტორს აქვს საავტორო უფლება შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების იმ ნაწილზე, რომელიც მის მიერ არის შექმნილი და რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს.

- ყველა თანაავტორს აქვს საავტორო უფლება შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების იმ ნაწილზე, რომლის შექმნაშიც მას აქვს მონაწილეობა მიღებული და რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს.

- არც ერთ თანაავტორს არა აქვს უფლება, აუკრძალოს შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება სხვა თანაავტორს, ისევე როგორც აუკრძალოს კვლევის გაგრძელება ერთობლივად შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების საფუძველზე.

- ასოციაციის თაოსნობით შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების მფლობელად ითვლება ასოციაცია.

5.9.2. ასოციაციის თაოსნობით შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების (ან მისი ნაწილის) გამოყენებისას, რომელზეც 5.9.1 პუნქტის შესაბამისად ვრცელდება პირის საავტორო უფლებები, ავტორი (თანაავტორი) ვალდებულია მიუთითოს, რომ მან გამოიყენა ასოციაციის თაოსნობით შექმნილი ინტელექტუალური საკუთრება (ან მისი ნაწილი) სხვა თანაავტორების მითითებით (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

5.9.3. დაუშვებელია ასოციაციის თაოსნობით შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების (ან მისი ნაწილის) გამოყენება დამატებითი შეთანხმების გარეშე იმ პირების მიერ, რომლებიც 6.9.1 პუნქტში არაა მოხსენიებული.

მუხლი 6

ასოციაციის ქონება

6.1. ასოციაციის ქონება იქმნება საწევრო შენატანების, კანონით დაშვებული წყაროებიდან მიღებული გრანტების, შემონირულობებით და დამხმარე ხასიათის საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლებისა და მატერიალური ფასეულობებისგან.

6.2. ასოციაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწევრო მიზნების განხორციელებას.

მუხლი 7

ასოციაციის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

7.1. ასოციაციის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2. ასოციაციის ლიკვიდაცია ხორციელდება დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით, მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას, ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 381 მუხლის შესაბამისად.

7.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

7.4. დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილება ასოციაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

- 7.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ ასოციაციას დამფუძნებლები. ასოციაციას ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
 - ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
 - ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
 - გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
- 7.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.
- 7.7. თუ ასოციაციის დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ასოციაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.
- 7.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 8
დასკვნითი დებულებები

- 8.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
- 8.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
- 8.3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ასოციაციის პრეზიდენტი
კარენ მულკიჯანიანი

ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი
ლევანი ჩიტიაშვილი

